შპს „სარ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

ს ა რ ჩ ე ვ ი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	*3*
სრული შემოსავლის ანგარიშგება	*4*
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	*5*
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	*6*
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	*7-27*

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31/Dec/2019	31/Dec/2018	1/Jan/2018
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	1,122,854	405,334	419,065
არამატერიალური აქტივები	10	904	1,017	1,130
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში		-	-	-
გრძელვადიანი აქტივები		**1,123,758**	**406,351**	**420,195**
მარაგები		-	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	899,439	527,911	196,611
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	12	13,772	19,409	108,113
მიმდინარე აქტივები		**913,210**	**547,320**	**304,724**
სულ აქტივები		**2,036,968**	**953,671**	**724,919**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		44,642	2,742	57,000
გაუნაწილებელი მოგება		395,458	83,170	-
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		540,466	312,288	83,170
სულ კაპიტალი		**980,566**	**398,200**	**140,170**
ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	13	667,738	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**667,738**	**-**	**-**
მიმდინარე ვალდებულებები	14	388,665	555,471	584,749
მიმდინარე ვალდებულებები		**388,665**	**555,471**	**584,749**
სულ ვალდებულებები		**1,056,403**	**555,471**	**584,749**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**2,036,968**	**953,671**	**724,919**

დირექტორის უფლებამოსილი პირი ელადა სარიევა

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ლარი	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	4	9,246,412	7,466,975
რეალიზებული საქონლის/ გაწეული მომსახურების თვითღირებულება	5	(8,469,049)	(6,930,080)
სრული მოგება		**777,363**	**536,895**
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი.	7	(6,193)	(1,762)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(212,243)	(208,931)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		**558,926**	**326,202**
წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი	**8**	(18,461)	(13,914)
მოგება დაბეგვრამდე		**540,466**	**312,288**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მოგება წლის განმავლობაში		**540,466**	**312,288**
			-
სხვა სრული შემოსავალი			
ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება კლასიფიცირებული მოგებად ან ზარალად		-	-
სხვა მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		**540,466**	**312,288**

დირექტორის უფლებამოსილი პირი ელადა სარიევა

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის (ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის		
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში	***12/31/2019***	***12/31/2018***
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	8,389,971	6,989,389
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(8,121,774)	(6,757,217)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(90,079)	(112,969)
გადახდილი გადასახადები	38,870	(20)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გაცემები	(68,667)	(11,878)
საპროცენტო ხარჯი	(42,128)	(19,012)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	***106,193***	***88,294***
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(726,555)	(458,202)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან მიღებული შემოსულობანი	***(726,555)***	***(458,202)***
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-
სასესხო ვალდებულებების აღება	925,000	617,000
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(353,834)	(278,531)
კაპიტალის შემცირება	-	(54,258)
კაპიტალის ზრდა	41,900	-
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	***613,066***	***284,211***
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	1,658	(3,007)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(5,637)	(88,704)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	19,409	108,113
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	***13,772***	***19,409***

დირექტორის უფლებამოსილი პირი ელადა სარიევა

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**57,000**	**83,170**	**140,170**
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	(54,258)		(54,258)
წლის მოგება		312,288	312,288
განაწილებული დივიდენდი		-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,742**	**395,458**	**398,200**
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	41,900		41,900
წლის მოგება		540,466	540,466
განაწილებული დივიდენდი		-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**44,642**	**935,924**	**980,566**

დირექტორის უფლებამოსილი პირი ელადა სარიევა

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სარ გრუპი“ (შემდგომში - კომპანია) დაარსდა 2017 წლის 05 ივლისს, საიდენტიფიკაციო კოდი: 425363313. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ბოლნისის რაიონი, ს. სამტრდო, მე-3 II ჩიხი, №8. ხოლო კომპანიის ფაქტობრივი მისამართია ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. 40.

კომპანიის 100% წილის მფლობელი და ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირი ლალა ალიზადეა.

კომპანიის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვების მომსახურება, სახმელეთო გზით, ხოლო დამატებითი საქმიანობაა კომერციული ფართების გაქირავება. მისი საქმიანობის ადგილია თბილისის ტერიტორია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღვრიცხო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული *მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის* შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარში), რომელიც ასევე არის კომპანიის ფუნქციური ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარადება მაშინ, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

შესაბამისად, ამონაგები ტვირთის გადაზიდვის მომსახურებიდან და საიჯარო მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც მომსახურება შესრულდება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

კომპანიას ზოგიერთ შემთხვევაში არ გააჩნია ხელმოწერილი ხელშეკრულებები მომხმარებლებთან, მაგრამ ამის ნაცვლად ყველა სახის პირობას კლიენტებთან ათანხმებენ განაცხადების/ინვოისების მეშვეობით. განაცხადები/ინვოისები გამოიწერება ცალ-ცალკე ყველა შესრულებული სამუშაოსთვის და კომპანია მათ შესაბამისად აღიარებს ამონაგებს.

კონტროლის გადაცემის მომენტის გამოსავლენად, კომპანია იყენებს შემდეგ მსჯელობას: მას შემდეგ რაც მომხმარებელმა მიიღო მომსახურება, კომპანიას არ გააჩნია დამატებითი ვალდებულება, აქვს გადახდის მოთხოვნის უფლება და არ იტოვებს რაიმე არსებით რისკს.

ოპერაციის ღირებულების განსაზღვრა

ოპერაციის ღირებულება განისაზღვრება მხარეების მიერ. ეს არის ფიქსირებული ღირებულება, რომელიც ფიქსირდება გამოწერილ ინვოისში და დასტურდება ყველა მონაწილე მხარის მიერ.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

ა) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია სამუშაო და წარსადგენ ვალუტად იყენებს ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ლარს.

ბ) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში არსებული ოპერაციები გადაიანგარიშება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის განხორციელების დღეს დადგენილი გაცვლითი კურსების შესაბამისად ან იმ თარიღში არსებული კურსით, რომელშიც მოხდა გადაფასება. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი“.

2019, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება ე.წ. ესტონური მოდელით. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯნება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

მოგების გადასახადი აღიარდება საქმიანობიდან მიღებული მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას და მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება-ზარალში, როდესაც მოხდება მიღებული მოგების განაწილება. მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმომშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება

და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით 2016 წლის პირველი იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, ანგარიშგებაში კომპანია წარმოადგენს წმინდა საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშულებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

შენობები	20 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	7 წელი

ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მოგება-ზარალში აღიარდება.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. ამორტიზაცია წრფივი მეთოდით აღიარდება მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა

პერსპექტიულად აისახება. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასვლისას, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენების ან გასვლისგან. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი, რაც განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, მოგება-ზარალში აღიარდება აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

აქტივების გაუფასურება

ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმის, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფს) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში ხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავის აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო

გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებას და პროდუქციის დასრულების და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდით. კომპანიის მარაგებს შეადგენს საწვავი და დამხმარე მასალები.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება, როდესაც კომპანიას ექნება მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება მოვალეობის ანგარიშსწორება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

ანარიცხის სახით აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორების საუკეთესო შეფასება, ამ მოვალეობასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხის შეფასება ხდება მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ფულადი ნაკადების შეფასებით, მისი საბალანსო ღირებულებაა ამ ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

როდესაც მოსალოდნელია, რომ ანარიცხის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებელი მთლიანად ან ნაწილობრივ ამოიღება მესამე მხარისგან, მაშინ დებიტორული დავალიანება აღიარდება აქტივის სახით, როდესაც გარდაუვალია ანაზღაურების მიღება და შესაძლებელია დებიტორული დავალიანების საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრის საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული სავალუტო კურისის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები განისაზღვრება დაქირავებულ მომუშავეებთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე. დაქირავებულ მომუშავეთა ხელფასის ანაზღაურება ხორციელდება ყოველი თვის ბოლომდე.

ანაზღაურებადი შვებულების გამოყენების წესი ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ პირობებს.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება მფლობელების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შემონატანების რეალური ღირებულებით.

.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში. შუალედური და საბოლოო დივიდენდების დამტკიცება ხდება, პარტნიორთა საერთო კრებაზე.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა.

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლის პროპორციულად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით.

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

მე-2-ე შენიშვნაში აღწერილი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ხელმძღვანელობას მოეთხოვება განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.
აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

ძირთადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

საეჭვო ვალების ანარიცხები

კომპანია საეჭვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საეჭვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძვლად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საეჭვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

პირობითი ვალდებულებები

ა) საგადასახადო პირობითი ვალდებულებები საქართველოში

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

ბ) სასამართლო დავები და სარჩელები

კომპანიას საქმიანობის ჩვეულ პროცესში აქვს სასამართლო სარჩელები და პრეტენზიები. კომპანიას აქვს სარჩელები იმ პირებთან, რომლებმაც დაარღვიეს ნაკისრი ვალდებულებები. ყველაზე მაღალი შედეგი, რაც კომპანიამ შეიძლება მიიღოს ასეთი დავებიდან არის ამ პირებისადმი არსებული სავაჭრო მოთხოვნების ნაშთები (დარიცხული ჯარიმების გათვალისწინებით).

შპს „Global Cargo expedition”-სა და შპს „სუფარის ტრანსპორტს“ შორის 2017 წლის 27 აპრილს გაფორმებული ტვირთების გადაზიდვის ხელშეკრულების ფარგლებში მომსახურების შესრულებისას გადაზიდვა არ დასრულდა (ტვირთი გაუჩინარდა/მოიპარეს) და შპს „Global Cargo expedition”-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გაუჩნდა შპს „სუფარის ტრანსპორტი“-ს მიმართ, ხოლო სადაზღვევო ანაზღაურების შემდეგ აღნიშნული მოთხოვნა გადავიდა სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგზე“. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, სადაზღვევო კომპანიამ მიმართა სარჩელით თბილისის საქალაქო სასამართლოს, რაც სრულად დაკმაყოფილდა, მაგრამ ვერ ხდება მისი აღსრულება.

ვინაიდან, 2017 წლის 10 ივლისს შპს „სარ გრუპმა“ შპს „სუფარის ტრანსპორტ სერვისი“-სგან შეიძინა მის სახელზე რიცხული ერთადერთი უძრავი ქონება და ვინაიდან ამ კომპანიების მეწილეებს შორის არსებობს ნათესაური კავშირი, სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგ“-მა მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

შპს „სარ გრუპმა“ წარადგინა შესაგებელი და არ ცნო სარჩელი, რადგან აღნიშნული ქონების რეალიზაციის საფასური მან სრულად გადაუხადა შპს „სუფარის ტრანსპორტ სერვის“-ს. შესაბამისად, ვერ იქნებოდა თვალთმაქცური/მოჩვენებითი გარიგება. კომპანიის ადვოკატისა და ხელმძღვანელობის შეფასებით, ველოდებით, რომ სარჩელი დაკმაყოფილდება შპს „სარ გრუპი“-ს სასარგებლოდ.

შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული არ არის ანარიცხი, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოსალოდნელი არ არის ზარალის წარმოქმნა.

4. ამონაგები

ამონაგები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	12/31/2019	12/31/2018
შემოსავალი გადაზიდვებიდან	9,208,815	7,438,529
საიჯარო შემოსავალი	37,597	28,446
სულ შემოსავალი	**9,246,412**	**7,466,975**

5. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

მომსახურების თვითღირებულება შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი სახით:

ლარი	12/31/2019	12/31/2018
გადაზიდვის ხარჯები	(8,414,143)	(6,919,631)
ფოსტის ხარჯი	(4,263)	(2,470)
შრომის ანაზღაურება	(10,820)	-
ტექინსპექტირების ხარჯი	(1,195)	-
ტექნიკის რემონტის ხარჯი	(7,017)	-
საწვავ-საპოხი მასალების ხარჯი	(10,834)	-
ნებართვებისა და სატერმინალო ხარჯები	(11,560)	-
დაზღვევა	(9,217)	(7,979)
სულ მომსახურების თვითღირებულება	**(8,469,049)**	**(6,930,080)**

6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი სახით:

ლარი	12/31/2019	12/31/2018
შრომის ანაზღაურება	(105,949)	(108,586)
ამორტიზაცია და ცვეთა	(23,299)	(20,439)
ოფისის მიმდინარე რემონტის ხარჯი	-	(1,966)
ფინანსური და იურიდიული მომსახურების ხარჯი	(8,318)	(12,848)
დაცვის ხარჯი	(1,800)	(1,800)
რეკლამის ხარჯი	-	(127)
ბანკის საკომისიო	(3,847)	(12,916)
*იჯარა	(30,000)	(30,000)
კომპიუტერის ხარჯი	(1,694)	(1,879)
კომუნალური ხარჯი	(442)	-
კომუნიკაციის ხარჯი	(3,674)	(4,988)
საკანცელარიო ხარჯი	(1,223)	(1,359)
სამეურნეო ხარჯი	(3,993)	(7,869)
მივლინების ხარჯი	(19,452)	-
საგადასახადო ხარჯი	(7,654)	(4,155)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(398)	-
სხვადასხვა ხარჯები	(501)	-
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	**(212,243)**	**(208,931)**

*იჯარის ხარჯი წარმოადგენს ჩვეულებრივი იჯარით აღებული საოფისე ფართის იჯარას, რომლის ვადა 1 წელია, მაგრამ გრძელდება თუ მხარეებს პრეტენზია არ აქვთ, ამავე ვადაში ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახით.

7. სხვა შემოსავალი/ხარჯი

სხვა შემოსავალი/ხარჯი ძირითადად წარმოშობილია სახელშეკრულებო ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებიდან, როგორიცაა მოცდენა, ტვირთის დაზიანება და ა.შ.

ლარი	12/31/2019	12/31/2018
მოგება/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	(448)	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	69	-
სახელშეკრულებო ჯარიმებიდან შემოსავალი	266	-
მოგება/ზარალი გადაზიდვისას დაზიანებული ტვირთიდან	(6,080)	(1,762)
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	**(6,193)**	**(1,762)**

8. წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი

სხვა შემოსავალი/ხარჯი ფორმირებულია საპროცენტო შემოსავლებითა და ხარჯებით, და კურსთაშორის სხვაობის წმინდა შემოსავალი/ხარჯით.

საპროცენტო შემოსავალი ერიცხება ბანკში ანაბარზე განთავსებულ ფულად სახსრებს, ხოლო საპროცენტო ხარჯი მოიცავს 2018 წელს ზირაათ ბანკიდან აღებული სესხის პროცენტებს, ხოლო 2019 წელს თიბისი ბანკიდან აღებული სესხის პროცენტებს.

ლარი	12/31/2019	12/31/2018
საპროცენტო შემოსავალი	335	224
საპროცენტო ხარჯი	(42,128)	(19,236)
კურსთაშორის სხვაობიდან წმ. შემოსავალი/ზარალი	23,332	5,098
სულ ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	**(18,461)**	**(13,914)**

9. ძირითადი საშუალებები

ლარი	შენობები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	***416,917***	***2,148***	***-***	***419,065***
მიღებულია 2018 წლის საანგარიშო პერიოდში		6,595		6,595
დარიცხული ცვეთა	(19,193)	(1,132)		(20,326)
გასული	-	-		-
ნარჩენი ღირებულება	***397,724***	***7,610***	***-***	***405,334***
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	***397,724***	***7,610***	***-***	***405,334***
მიღებულია 2019 წლის საანგარიშო პერიოდში	491,399	7,348	242,408	741,155
დარიცხული ცვეთა	(19,193)	(1,970)	(2,022)	(23,186)
გასული	-	(448)	-	(448)
ნარჩენი ღირებულება	***869,930***	***12,539***	***240,385***	***1,122,854***
წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	***869,930***	***12,539***	***240,385***	***1,122,854***

ძირითადი საშულებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.

- ცვეთის მეთოდი: წრფივი მეთოდი

კომპანიის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები დატვირთულია იპოთეკით, ბანკის სესხის უზრუნველსაყოფად.

10. არამატერიალური აქტივები

ლარი	ბუღალტრული პროგრამა	ჯამი
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	***1,130***	***1,130***
მიღებულია 2018 წლის საანგარიშო პერიოდში	-	-
დარიცხული ამორტიზაცია	(113)	(113)
გასული	-	-
ნარჩენი საბალანსო ღირებულება	***1,017***	***1,017***
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	***1,017***	***1,017***
მიღებულია 2019 წლის საანგარიშო პერიოდში	-	-
დარიცხული ამორტიზაცია	(113)	(113)
გასული	-	-
ნარჩენი საბალანსო ღირებულება	***904***	***904***
წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	***904***	***904***

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	12/31/2019	12/31/2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	826,768	490,860
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	23,979	2,011
ზედმეტად გადახდილი გადასახადები	48,692	35,041
საეჭვო ვალების ანარიცხები	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**899,439**	**527,911**

12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი

ლარი	12/31/2019	12/31/2018
ფულადი სახსრები ლარში	5,113	5,203
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	7,820	12,310
სულ ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	**12,933**	**17,513**
სულ ნაღდი ფული	**839**	**1,896**

კომპანიის ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ძირითადი ნაშთები განთავსებულია საქართველოს კომერციულ ბანკებში, კერძოდ, თიბისი ბანკში. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების ნაშთები არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული. „კომპანია“ არ მოელის რომელიმე კონტრაგენტის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობას.

13. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

ლარი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	31-12-19	01-01-19
სს „თი ბი სი ბანკი “	ლარი	13,5%	2022	177190	0
სს „თი ბი სი ბანკი “	ლარი	13,5%	2024	490548	0
სულ სესხები და ნასესხები თანხები				**667738**	**0**

ბანკის სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული საოფისე შენობა ნაგებობებით.

14. მიმდინარე ვალდებულებები

ლარი	12/31/2019	12/31/2018
მოკლევადიანი სესხები	(241,898)	(338,469)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(144,251)	(215,402)
მიღებული ავანსები	(773)	-
გადასახდელი ხელფასები	(1,743)	(1,600)
გადასახდელი დივიდენდი	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**(388,665)**	**(555,471)**

მოკლევადიანი სესხები წარმოდგენილია გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილით და 100000 (ასი ათასი) ლარიანი საკრედიტო ხაზით, რომლის ნაშთი 2019 წლის ბოლოს 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარია. საკრედიტო ხაზი აღებულია ასევე თიბისი ბანკიდან 12%-იანი საპროცენტო განაკვეთით.

მიღებული ავანსები წარმოიშობა, მაშინ როდესაც თანხა მიღებულია წინასწარ. წინასწარგადახდები (ავანსები) ფინანსური მდგომარეობის ანგარშგებაში წარმოადგენს ვალდებულებას იქამდე, სანამ არ მოხდება მისი გამომუშავება. როგორც კი ავანსი გამომუშავდება, იმავდროულად ვალდებულება შემცირდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემოსავალი აღიარდება. წინასწარ გადახდილი თანხების 100% წარმოადგენს მომსახურების მყიდველებისგან მიღებულ ავანსებს.

15. რისკების მართვა

ა) ფინანსური რისკების მართვა ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „კომპანია“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი - საბაზრო რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიაზე“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისათვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბ) რისკების მართვის სტრუქტურა

„კომპანიის“ ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა „კომპანიის“ რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

„კომპანიის“ რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „კომპანიაზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „კომპანიას“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინური და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

გ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალებულებებს. საკრედიტო რისკი „კომპანიას“ ძირითადად წარმოეშვება სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან და საინვესტიციო ქაღალდებიდან.

საკრედიტო რისკის გავლენა

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

	საბალანსო ღირებულება	
ლარი	**12/31/2019**	**12/31/2018**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	899,439	527,911
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	13,772	19,409
	913,210	**547,320**

კომპანია საკრედიტო რისკების შეფასებას ახორციელებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

დ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრებით ან ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვის „კომპანისეული“ მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, „კომპანიას“ ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულ, ისე - სტრესულ მდგომარეობაში, მისი რეპუტაციის ქვეშ დაყენების და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.
ფულადი სახსრები სრულად განთავსებულია მიმდინარე ანგარიშზე ბანკებში, რომელიც ასევე ამყარებს „კომპანიის“ ლიკვიდურობას.

არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები ლარი	**საბალანსო ღირებულება**	
	12/31/2019	**12/31/2018**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	388,665	555,471

ე) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ვ) კაპიტალის მართვა

„კომპანიის“ საქმიანობიდან გამომდინარე, მას არ აქვს ფორმალური კაპიტალის მართვის პოლიტიკა. გარდა ამისა, „კომპანია“ არ ექვემდებარება კაპიტალთან დაკავშირებულ გარე მოთხოვნებს. „კომპანიის“ კაპიტალის მართვაზე გადაწყვეტილებებს იღებს მისი მფლობელი.

16. დირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის უმაღლესი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება შეადგენდა 12 332 ლარს.

17. მოვლენები საანგარშგებო პერიოდის შემდეგ

კორონავირუსის გავრცელების შესაძლო ეფექტი

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონავირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება, გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე.

2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსული დაავადების სწრაფად გავრცელების გამო, პანდემია გამოაცხადა.

2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო ვითარება. 2020 წლის 31 მარტიდან კი ამოქმედდა საყოველთაო კარანტინი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 13 მაისს.

დირექტორის უფლებამოსილი პირი

ელადა სარიევა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31/Dec/2019	31/Dec/2018	1/Jan/2018
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	1,122,854	405,334	419,065
არამატერიალური აქტივები	10	904	1,017	1,130
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში		-	-	-
გრძელვადიანი აქტივები		**1,123,758**	**406,351**	**420,195**
მარაგები		-	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	899,439	527,911	196,611
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	12	13,772	19,409	108,113
მიმდინარე აქტივები		**913,210**	**547,320**	**304,724**
სულ აქტივები		**2,036,968**	**953,671**	**724,919**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		44,642	2,742	57,000
გაუნაწილებელი მოგება		395,458	83,170	-
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		540,466	312,288	83,170
სულ კაპიტალი		**980,566**	**398,200**	**140,170**
ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	13	667,738	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**667,738**	**-**	**-**
მიმდინარე ვალდებულებები	14	388,665	555,471	584,749
მიმდინარე ვალდებულებები		**388,665**	**555,471**	**584,749**
სულ ვალდებულებები		**1,056,403**	**555,471**	**584,749**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**2,036,968**	**953,671**	**724,919**

დირექტორის უფლებამოსილი პირი ელადა სარიევა

Сканировано с CamScanner

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ლარი	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	4	9,246,412	7,466,975
რეალიზებული საქონლის/ გაწეული მომსახურების თვითღირებულება	5	(8,469,049)	(6,930,080)
სრული მოგება		**777,363**	**536,895**
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი.	7	(6,193)	(1,762)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(212,243)	(208,931)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		**558,926**	**326,202**
წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი	**8**	(18,461)	(13,914)
მოგება დაბეგვრამდე		**540,466**	**312,288**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მოგება წლის განმავლობაში		**540,466**	**312,288**
			-
სხვა სრული შემოსავალი			
ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება კლასიფიცირებული მოგებად ან ზარალად		-	-
სხვა მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		**540,466**	**312,288**

დირექტორის უფლებამოსილი პირი ელადა სარიევა

Сканировано с CamScanner

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში	12/31/2019	12/31/2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	8,389,971	6,989,389
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(8,121,774)	(6,757,217)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(90,079)	(112,969)
გადახდილი გადასახადები	38,870	(20)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გაცემები	(68,667)	(11,878)
საპროცენტო ხარჯი	(42,128)	(19,012)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**106,193**	**88,294**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(726,555)	(458,202)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან მიღებული შემოსულობანი	**(726,555)**	**(458,202)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-
სასესხო ვალდებულებების აღება	925,000	617,000
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(353,834)	(278,531)
კაპიტალის შემცირება	-	(54,258)
კაპიტალის ზრდა	41,900	-
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**613,066**	**284,211**
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	1,658	(3,007)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(5,637)	(88,704)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	19,409	108,113
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	**13,772**	**19,409**

დირექტორის უფლებამოსილი პირი ელადა სარიევა

Сканировано с CamScanner

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**57,000**	**83,170**	**140,170**
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	(54,258)		(54,258)
წლის მოგება		312,288	312,288
განაწილებული დივიდენდი		-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,742**	**395,458**	**398,200**
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	41,900		41,900
წლის მოგება		540,466	540,466
განაწილებული დივიდენდი		-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**44,642**	**935,924**	**980,566**

დირექტორის უფლებამოსილი პირი ელადა სარიევა

Сканировано с CamScanner

2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო ვითარება. 2020 წლის 31 მარტიდან კი ამოქმედდა საყოველთაო კარანტინი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 13 მაისს.

დირექტორის უფლებამოსილი პირი

ელადა სარიევა

Сканировано с CamScanner